

მოწვევა

მიმდინარე წლის 31 მარტს, ორშაბათს, 15:00 საათიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში, პეტრე მელიქიშვილის სახელობის დარბაზში (115) ჰოკაიდოს (იაპონია) უნივერსიტეტის პროფესორი ტამაკი ნაკანო წაიკითხავს ლექციას თემაზე:

„ქირალობის ინდუქცია პოლიმერებში წრიულად პოლარიზებული სინათლის გავლენით“,


ხოლო 16:30 საათზე სამეცნიერო-პოპულარულ ლექციას სტუდენტებისათვის და ყველა მსურველისათვის

“ამბავი პოლიმერების შესახებ”



ტამაკი ნაკანომ 1986 წელს დაამთავრა ოსაკას უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი და 1991 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ნაგოას უნივერსიტეტში. ტ. ნაკანო მოღვაწეობდა როგორც ასისტენტ პროფესორი ნაგოას უნივერსიტეტში 1990-1999, მიწვეული მკვლევარი კორნელის უნივერსიტეტში (აშშ) 1993-1994 წწ, ასოცირებული პროფესორი ნარას სამეცნიერო ტექნოლოგიების ინსტიტუტში 1999-2006 წწ, ხოლო 2006 წლიდან გახლავთ ჰოკაიდოს უნივერსიტეტის პროფესორი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს განეკუთვნება ქირალური პოლიმერების სინთეზი, პოლიმერების ფოტოფიზიკა და ფოტოქიმიკა, ისევე როგორც ელექტროდენის გამტარი და კატალიზური უნარის მქონე პოლიმერები.

ქირალური პოლიმერული ჯაჭვის სპირალის სახით კონსტრუირება პოლიმერების ქიმიის მნიშვნელოვანი ამოცანას წარმოადგენს, რადგან სპირალისებურმა პოლიმერებმა მრავალმხრივი გამოყენება ჰპოვა ტექნიკის სხვადასხვა დარგში. პროფ. ნაკანოსა და თანამშრომლების მიერ 2002 წელს მოწოდებული იქნა სპირალის ქირალური ინდუქციის ახალი მეთოდი წრიულად პოლარიზებული სინათლის გამოყენებით [1]. დღევანდელ მოხსენებაში განხილული იქნება სპირალის ფოტოქიმიური ინდუქციის ფიზიკური და ქიმიური მექანიზმები და ამ მეთოდის გამოყენების შესაძლებლობები ქიმიის, ფიზიკისა და მასალათმცოდნეობის სხვადასხვა დარგებში [2].



სურ.1. სპირალის ენანტიოსელექტიური ინდუქციის სავარაუდო მექანიზმი წრიულად პოლარიზებული სინათლის გამოყენებით.

[1] Y. Wang, T. Sakamoto, T. Nakano, *Chem. Commun.*, 48, 1871 (2002).
[2] T. Sakamoto, Y. Fukuda, S. Sato, T. Nakano, *Angew. Chem. Int. Ed.*, 48, 9308 (2009)

კონტაქტი:
აკად. ბეჟან ჭანკვეტაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ქვემომართულება, ტელ: 2290648, 555 730048